ისრაელი-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა „ჰელსიკორი“
ISRAEL-GEORGIAN MEDICAL RESEARCH CLINIC “HELSICORE“

01/13
08.01.2018

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“

თავმჯდომარეს ქ-ნ ეკატერინე სისაურს

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევით კლინიკა ჰელსიკორს“ გადაწყვეტილი აქვს შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ (ს/კ: 401945507) წილის 100%-ის შეძენა. ეს უკანასკნელი თავის მხრივ საკუთრებაში ფლობს ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის #13-ში მდებარე ფართს საპრივატიზებო პირობებით (უძრავი ქონების სკ: 01.13.07.021.024.01.503 და 01.13.07.021.024.01.502).

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ 2014 წლიდან წარმატებით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას. კომპანია განთავსებულია იმავე ლოკაციაზე არსებული შენობის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 სართულებზე, მათ შორის შენობის მე-8 სართულს ვფლობთ სარგებლობის უფლებით. კლინიკა არის არაერთი ნოვატორული სამედიცინო სერვისის ავტორი, სწორედ „ჰელსიკორში“ დაინერგა და წარმატებით ხორციელდება ურთულესი კარდიოქირურგიული ოპერაციები მინიინვაზიური მიდგომით, პირველად კავკასიაში ჩვენს კლინიკაში ჩატარდა აორტალური სარქველის ტრანსკათეტერული იმპლანტაციის (ე.წ. TAVI, აორტის სარქველის გამოცვლა უსისხლო მეთოდით) პროცედურა, თვეში ტარდება საშუალოდ 35 კარდიოქირურგიული ოპერაცია, 25 ანგიოქირურგიული ოპერაცია, კორონარული სტენტ(ებ)ის იმპლანტაციის 39 პროცედურა, 56 კორონარული არტერიების ანგიოგრაფია, 2017 წელს დაინერგა და წარმატებით ხორციელდება რადიოსიხშირული აბლაციისა და კრიოაბლაციის უნიკალური, პეისმეიკერისა და რესინქრონიზაციული დეფიბრილატორის იმპლანტაციის პროცედურები, 2017 წელს კლინიკაში გაიხსნა ახალი მიმართულება - ონკოქირურგია, სისტემატურად ვიწვევთ მოწინავე ევროპული ქვეყნების წამყვან სპეციალისტებს ნოვატორული ოპერაციების ჩატარებისა და დანერგვის მიზნით. კლინიკა აღჭურვილია უახლესი აპარატურით და დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რომელთა უმრავლესობას განათლება მიღებული აქვს ევროპის ქვეყნებში. სამედიცინო სფეროში გამოჩენილ ქართველ

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თბილისის მომსახურების ცენტრი
შემოსვლის. № 17451/3
„08“ 01 2018 წ
3 ფურცელი

ტელ: +995 32 243 33 43 ფაქსი: +995 32 243 33 44 საქართველო, თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა 13. www.helsicore.ge info@helsicore.ge
Tel: +995 32 243 33 43 Fax: +995 32 243 33 44 13, Tevdore Mgvdeli str, Tbilisi, Georgia 0112 www.helsicore.ge info@helsicore.ge

მედიკოსებთან ერთად, კლინიკის დამფუძნებელია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის მოქალაქე, მსოფლიოში ცნობილი სისხლძარღვთა ქირურგი, პროფესორი რონი კარმელი, რომელიც ხელმძღვანელობს სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო ბაზარზე „ჰელსიკორის" გამოჩენის შემდეგ, სამედიცინო მომსახურების ნიშა საქართველოში კარდიოლოგია/კარდიოქირურგიასა და მასთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისების კუთხით, სულ სხვა, გაცილებით მაღალ სიმაღლეზე ავიდა. ზემოხსენებული ფართის შეძენისა და მასში კლინიკის გახსნის შემდეგ, მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება განხორციელდება მედიცინის სხვა მიმართულებებითაც. კლინიკაში მოცემული მომენტისათვის დასაქმებულია 230 თანამშრომელი, დაახლოებით 100 საშტატო ერთეულის დამატებას ვვარაუდობთ საინვესტიციო პროექტის დასრულების შემდეგ.

კლინიკის საქმიანობასთან დაკავშირებული ამ მწირი ინფორმაციის თქვენთვის გაცნობა განპირობებულია სამედიცინო საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოების თაობაზე ჩვენი პერსპექტიული გეგმების გამყარების მოტივით. ამას ემატება სამედიცინო სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ახალი რეგულაციების შემოღება, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილების მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრიდან ქ. თბილისში გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელიც ფლობს სტაციონარული დაწესებულების ნებართვასა და სანებართვო დანართებს საქმიანობებში: „რეანიმაციული მომსახურება" და „გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (EMERGENCY)". თავის მხრივ „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების" სამედიცინო სერვისის ნებართვის მიღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, სამსახური განთავსებული იყოს პირველ სართულზე. ამიტომ, შპს „გია ჭკუასელის კლინიკის" წილის 100%-ის შემჭიდროვებულ ვადებში შეძენის საკითხი კლინიკის დღის წესრიგში დამატებით აქტივობას იძენს. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის სს „ბაზისბანკმა" უკვე გამოგვიყო საკრედიტო ხაზი 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით, თუმცა ჩვენი გათვლებით პროექტი გაცილებით მეტ ინვესტიციას მოითხოვს, რისთვისაც კლინიკა ასევე მზადაა.

ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ შპს „გია ჭკუასელის კლინიკის" 100% წილის შესყიდვასთან ერთად ვხდებით იმ ვალდებულების უფლებამონაცვლე, რაც კომპანიის მესვეურებმა აიღეს ფართის პრივატიზებისას. საუბარი გვაქვს პრივატიზებულ ფართში სამედიცინო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებაზე 10 წლის განმავლობაში. ჩვენს გეგმებზე ვაწარმოოთ სამედიცინო საქმიანობა ხსენებულ ფართში ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუმცა ყოველგვარი შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, გვიშუამდგომლოთ საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა საპრივატიზებო ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც არაუგვიანეს 2021 წლის 01 იანვრამდე:

1) საპრივატიზებო ფართში სრულად დასრულდება სამედიცინო პროფილის მქონე დაწესებულების (კლინიკის) ფუნქციონირებისათვის საჭირო სამშენებლო (სარემონტო) სამუშაოები;
2) საპრივატიზებო ფართი აღიჭურვება სამედიცინო პროფილის მქონე დაწესებულების (კლინიკის) ფუნციონირებისათვის საჭირო ინვენტარით;
3) მოხდება საპრივატიზებო ფართის, როგორც სამედიცინო პროფილის მქონე დაწესებულების (კლინიკის) გახსნა, მისი ფუნქციონირების დაწყება და ამ პროფილით მოცემული ფართში საქმიანობა სულ მცირე 10 წლის ვადით.

საპრივატიზებო ფართის ათვისება დაგეგმილია ეტაპობრივად, მათ შორის პირველი ეტაპის სამუშაოების დამთავრება და სამედიცინო პროფილის საქმიანობის დაწყება ფართის გარკვეულ ნაწილში გათვალისწინებული გვაქვს არაუგვიანეს 2018 წლის 01 მაისისა, თუმცა ფართის სრულად დატვირთვამდე პერიოდს გთხოვთ, ნუ ჩაგვითვლით საპრივატიზებო ვალდებულების შესრულებად (სამედიცინო პროფილით ფუნქციონირება) და მისი ათვლა დავიწყოთ სრულყოფილად გამოყენების თარიღიდან (მხოლოდ არაუგვიანეს 2021 წლის 01 იანვრისა), რაც წერილობით ეცნობება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს".

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისათვის.

პატივისცემით,

დირექტორი

რუსუდან ლაგვილავა